# გაიმართა სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის პლენარული სხდომა

***სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 20.02.2024.*** 2024 წლის 20 თებერვალს დისტანციურად გაიმართა სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის პლენარული სხდომა. სხდომას გაუძღვა მისი თავმჯდომარე თავმჯდომარე, ბუდაპეშტისა და უნგრეთის მიტროპოლიტი ილარიონი.

სხდომის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო „Fiducia supplicans“-ს დეკლარაციის ტექსტის განხილვა, რომელიც მიიღო რომის კათოლიკური ეკლესიის დოქტრინის კონგრეგაციამ, – **იტყობინება** Патриархия.ru სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის ინფორმაციაზე დაყრდნობით. დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ კონგრეგაციის პრეფექტი კარდინალი მანუელ ფერნანდესი და დოქტრინალური განყოფილების მდივანი არმანდო მატეო, და რომელიც დამტკიცებული და ხელმოწერილია რომის პაპ ფრანცისკეს მიერ, გამოქვეყნდა ვატიკანის ოფიციალურ რესურსებზე 2023 წლის 18 დეკემბერს.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ აღნიშნული დოკუმენტის ანალიზი დაავალა სინოდალურ ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიას.

შეხვედრა მიტროპოლიტ ილარიონის შესავალი სიტყვით გაიხსნა, სადაც სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის თავმჯდომარემ მოკლე მიმოხილვა გააკეთა კომისიის მუშაობის მიმდინარე მიმართულებებზე და ისაუბრა პლენუმის ფარგლებში გადასაწყვეტი ამოცანების შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი პოზიციები დეკლარაციის „Fiducia supplicans“ თეოლოგიურ შინაარსთან დაკავშირებით, რომელშიც კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში პირველად არის შემოთავაზებული „ერთნაირსქესიანთა კავშირების“ კურთხევის ფორმები. სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის წევრები ერთსულოვანი იყვნენ იმაში, რომ ეს სიახლე გამოხატავს მკვეთრ გადახვევას ქრისტიანული მორალური სწავლებისგან.

ამ საკითხზე სინოდალური ბიბლიურ-საღვთისმეტყველო კომისიის მუშაობის შედეგები განსახილველად გადაეგზავნება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91401/